# მდგრადი ტურიზმის პრინციპების გამოყენების პრაქტიკა საქართველოს სასტუმრო მომსახურების სფეროში

ანი ზარდიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2021**

# განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ზარდიაშვილი

19.06.2021

# აბსტრაქტი

მდგრადი ტურიზმის განვითარება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოში და მისი პრინციპების დაფუძნება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა ამ კონცეფციის ანალიზი ორ დონეზე მაკრო და მიკრო დონეზე. მაკრო დონე დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკასთან და ამ კონტექსტში მისი მდგრად ტურიზმის პრინციპებთან შესაბამისობის დასადგენად სამაგიდო კვლევის ფარგლებში ტურიზმის სტრატეგიული დოკუმენტების და საკანონმდებლო აქტების მიმოხილვა განხორციელდა. შედეგებმა აჩვენა, რომ დოკუმენტებში მდგრადი ტურიზმის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ერთგულების დაფიქსირების მიუხედავად, კონკრეტული აქტივობები ამ პრინციპების შესრულების სტიმულაციისთვის განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, ტურიზმის კანონში არ გვხდება ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო რეგულაციები.

მიკრო დონე შეეხება გარემო, ეკონომიკურ და სოციალური სისტემის დაბალანსებას და მოიცავს კომპანიის, საზოგადოების და დაინტერესებული ჯგუფების აქტივობებს. ჩვენი ნაშრომის მთავარ მიზანს სწორედ კომპანიის ჭრილში, კერძოდ სასტუმროების ფარგლებში მდგრადი ტურიზმის პრინციპების გათვალისწინების ხარისხის კვლევა წარმოადგენდა. კვლევის მეთოდად ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა გამოვიყენეეთ, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 8 სასტუმრო. კვლევის ზოგიერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენაა: მდგრადი ტურიზმის კონცეფციის მიმართ დაბალი ცნობადობა საქართველოში, პრინციპების დაფუძნების სტიმულირების კუთხით-ეკონომიკური სტიმულება, ხარჯის დაზოგვა და რეგულაციურ აქტივობების აუცილებლობა აღინიშნა ყველაზე ხშირად. გარდა ამისა, სასტუმროების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მდგრადი ტურიზმის პრინციპების დასანერგად.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** *ტურიზმის მდგრადი განვითარება, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, სამმაგი-ძირითადი-შედეგი, მდგრადი განვითარების სამი რკალი, გლობალური ეთიკის კოდექსი, მდგრადი განვითარების მიზნები.*

## Abstract

Sustainable tourism development gains more importance in the world and accepting its principles in Georgia is one of the main challenges. To deal with this challenge the concept should be analyzed on two levels macro and micro level. Macro level is concerned with the public policy and to identify its compliance with sustainable tourism development principles the desk research was conducted of main tourism strategical documents and Statutes. The research showed, that although the government expresses explicitly loyalty towards the sustainable development principles, we could not identify any specific action to stimulate its introduction. Furthermore, tourism sustainability is not mentioned in tourism law at all.

The micro level concerns balancing of environmental, economic and social system and includes the activities of companies, society and other stakeholders. The main purpose of the paper is the investigation on hotel level sustainable tourism practices. For this focus group research method was employed to investigate the sustainable pracitises among hotels. The study resulted in the following findings: there is a low awareness about the sustianble principles among the Georgian Hotels, to stimulate introduction of sustainable tourism practices the following main drivers were identified- economic stimuli, cost saving anad regulation; Furthermore, the most of the hotels stressed the importance of government role in facilitating introduction of sustainable tourism practices on the accommodation market.

**Key Words:** Sustanable Tourism Development, CSR, triple-bottom-line, three dimensions of sustainable tourism, Global Code of Ethics, SDG.